F 2·851
1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19196

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ტიციან ტაბიძეს.

F

შენ ჩამორეკე სიბნელეში ბოლის **ზარები**,
თაბორის მთაზე აიტანე **ჯვარი** წამების,
და უარყავი მოფერება სუსტი კალმების.
ხელოვნებაში თვით სიკვდილიც არ **გეზარება**.

შენი ლექსები დაბალ მგოსნებს არ ეკარება,
ვინ რას დაგაკლებს ამაყ რაინდს **გათამამებულს**,
დღეს უხარია თვით **პაოლოს** შენებრ წამებულს,
რომ გამოსჭედე **პოეზიის** რკინის **კარები**.

გარს გახვევია ბუმბერაზი ძველი მგოსნები,
ოსკარ უალდი გეზმანება **თეთრი რაშებით**.
თითქოს **ბოდლერმაც** შეგთავაზა კრიალოსნები.

საქართველოში გაჯილდოებს ცხარე ტაშები.
შენი სახელი როგორც მგოსნის კარგად **იციან**.
დღეს გამარჯვებულს **გესალმები** ჩემო **ტიციან**.



ЗС-1

Pigment.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ლურჯი **სარკეში** ათამაშდა შენი სინაზე-
რაშით ჯირითი შეუყვარდა ავი **ყაჩაღებს.**
სული ნაცნობი შენს გარშემო **სხივებს** აჩაღებს.
ცრემლით ატირდა მდუმარება ცივი **რკინაზე.**

სიცილს დაიწყებს **ტყის** ასული შენი ბინაზე.
შავი დემონი შეაგროვებს თუჯის **მათრახებს.**
მოქანცულ **სხეულს** მწუხარება ზანტად შეარხევს.
და თავს ამოყოფს ყრუ სიკვდილი ფანჯრის **მინაზე.**

შავი **ოცნება დროთა** სვლაში ჩაიფერფლება.
და უარს იტყვის **თეთრი ვარდი** განმეორებით.
ნერვებს აგიშლის **ჭლექიანი** ჩუმი **ხველება.**

ღამის სიზრმები ჩაივლიან ნაზი ზმორებით.
ავადმყოფ **სულით** ულრან **ტყეში** გაიპარები.
და შენს წინაშე აიშლება **სევდის ჯარები.**

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ძაღი ეკრანზე.

(ძღვნად თ. ჩიქოვანს.)

ფიქრთა გროვაში იფერფლება შენი **სხეული**.
მარად გეძახის მუნჯ ცხოვრების ავი მაინდი.
მაგრამ გდარაჯობს უდარდელი ძველი **რაინდი**.
და არ გაშინებს უკულმართი ბედი წყეული.
რუხი დღეები ხეტიალში გაანიავე.
გიყვარს **ლოთობა** ყრუ ქალაქში და **ალავერდი**.
ჰაერში დაქრის შენი სული როგორც ნიავი.
ციურ მზერაში გახალისებს მწვანე **ხავერდი**.
შავი ცხოვრებამ ჩაგითრია ველარ დაგინდო.
როგორც ნაცნობი მოგესალმა ფიქრი **სნეული**.
ალარ გშორდება ავი ლანდი ვით **ქუჩის კინტო**.
დუელში გიწვევს მოთარეშე **გედი გრძნეული**.

ტ. წალენჯიხელი.

ქ ტფილისი 1919 წ.

[10-]

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა